საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 170

02 10 2012წ.

ქ. თბილისი

დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის განკუთვნილი „ქართული, როგორც მეორე ენა“ საგნის სახელმძღვანელოებისათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებელი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მისი მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 1 მაისის №455 ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებელი კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №3 სხდომის ოქმის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის'' მე-9 მუხლის 5[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2012 წლის 20 სექტემბრის №21684 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს გრიფი ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის განკუთვნილ „ქართული, როგორც მეორე ენა“ საგნის დანართით წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს/სერიას.

2. დაევალოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახური) ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის

კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა, მათ შორის ვებგვერდზე განთავსება, ასევე, დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის განკუთვნილი „ქართული, როგორც მეორე ენა“ საგნის სახელმძღვანელოებისათვის/ სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ ინფორმაციის გაზეთ ,,24 საათში'' გამოქვეყნება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი

შოთა ნიჟარაძე

დანართი

№	საგანი	კლასი/ დონე	სახელმძღვანელოს დასახელება	სახელმძღვანელოს სახეები (კომპლექტი)	ავტორი/ავტორები
1.	ქართული, როგორც მეორე ენა	I დონე	ქართული ენა	მასწავლებლის წიგნი CD-თან ერთად, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, თამარ ჯაყელი
2.	ქართული, როგორც მეორე ენა	II დონე	ქართული ენა	მასწავლებლის წიგნი CD-თან ერთად, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, თამარ ჯაყელი
3.	ქართული, როგორც მეორე ენა	III დონე	ქართული ენა	მასწავლებლის წიგნი CD-თან ერთად, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, თამარ ჯაყელი
4.	ქართული, როგორც მეორე ენა	IV დონე	ქართული ენა	მასწავლებლის წიგნი CD-თან ერთად, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, თამარ ჯაყელი
5.	ქართული, როგორც მეორე ენა	V დონე	ქართული ენა	მასწავლებლის წიგნი CD-თან ერთად, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, თამარ ჯაყელი
6.	ქართული, როგორც მეორე ენა	VI დონე	ქართული ენა	მასწავლებლის წიგნი CD-თან ერთად, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, თამარ ჯაყელი